ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 367

“9” აგვისტო 2022 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 73-ე მუხლის მე-2 პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 20 ივლისის №22.1115.1225 განკარგულების შესაბამისად, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნას ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ოფიციალურ ვებ - გვერდზე www.ms.gov.ge რეგისტრირებული №01221403965-67 (№01221813552-67; №01221893440-67) განაცხადის და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისად.

2. აღნიშნული განკარგულების შესაბამისად, გასატარებელი ღონისძიებების განხორციელება დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

4. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე

განკარგულება - N 22.1115.1225
20 / ივლისი / 2022 წ.

ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მოწონების თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 20 მაისს N01221403965-67 (N01221813552-67; N01221893440-67) განცხადებით მიმართა ნიკოლოზ მეძმარიაშვილმა (პ/ნ 01008013014) და მოითხოვა ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცება.

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085). არეალთან სატრანსპორტო კავშირი ხორციელდება მარშალ გელოვანის გამზირის მხრიდან.

,,დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებით დამტკიცებული მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2), საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6) და საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 (სსზ-2); გამწვანებული ტერიტორიების ფენით - შემოთავაზებული რეკრეაციული ზონა 2 (რზ-2).

,,ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვრის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე'' ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 აპრილის N174 განკარგულებით დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტი.

წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმა მიზნად ისახავს მომიჯნავედ მშენებლობის პროცესში მყოფი მრავალფუნქციური კომპლექსის მიმდებარედ საგანმანათლებლო სექტორის და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დაგეგმარებას; საპროექტო წინადადებით, სკოლისა და ბაღის განთავსებისთვის შერჩეული ლოკაცია გადადის მომიჯნავედ საპროექტო ცენტრალური პარკის მიჯნაზე, მოქმედი ბენზინგასამართი სადგურიდან მომორებით;

საპროექტო წინადადებით ნაკვეთი იყოფა ორ დამოუკიდებელ სექტორად. ნაკვეთის იმ ლოკაციაზე, სადაც იგეგმება უშუალოდ საგანმანათლებლო კომპლექსის გაშენება, მოთხოვნილია სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება. დანარჩენ ნაწილზე, სადაც გეგმარდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი, გავრცელდება მაღალი ინტენსივობის საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6).

საპროექტო ფუნქციური ზონირება - საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1);

სართულიანობა: 13 სართულიანი (2 მიწისქვეშა 11 მიწისზედა) და 4 სართულიანი;

მაქსიმალური სიმაღლე: 21-40 მ;

განაშენიანების რეგულირების გეგმით დადგენილი პარამეტრები:

მიწის ნაკვეთი N1 – 5 923 კვ.მ. (საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6))

კ1 - 0.3;

კ2 - 2,5 (14 807 კვ.მ);

კ3 - 0,3

მიწის ნაკვეთი N2 – 9 100 კვ.მ. (სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1))

კ1 - -

კ2 - - (13 600 კვ.მ)

კ3 - 0.2

„ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14–39 დადგენილებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების წესების მე-9 მუხლის მე-4, მე-5 და 5^1 პუნქტების შესაბამისად, განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების ორივე ეტაპს აწარმოებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული პოლიტიკის განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანო. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, დაგეგმარებითი ამოცანების სრულყოფილად შესრულების მიზნით, ადმინისტრაციულ წარმოებაში მონაწილეობას იღებს გარემოს დაცვის პოლიტიკაზე უფლებამოსილი მერიის სტრუქტურული ერთეული. ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების განხორციელებისას, აღნიშნული ადმინისტრაციული წარმოების განმახორციელებელი ადმინისტრაციული ორგანოს სატრანსპორტო პოლიტიკაზე უფლებამოსილი სტრუქტურული ერთეულის ჩართვა სავალდებულოა:

ა) გაუნაშენიანებელ ტერიტორიებზე განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებასთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების პროცესში;

ბ)თუ წარმოდგენილი საპროექტო წინადადებით/გადაწყვეტით საპროექტო ტერიტორიისათვის გათვალისწინებული განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტით განსაზღვრული მაქსიმალური საანგარიშო ფართობი აღემატება 5000 კვ.მ-ს (გარდა ღამის კლუბის, სასაწყობო, საწარმოო და სამრეწველო ობიექტების, საგამოფენო დარბაზის, მუზეუმის, ბიბლიოთეკის და საკულტო ნაგებობის განაშენიანების რეგულირების გეგმებისა).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის 2022 წლის 13 ივლისის N0122194149. წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე დამტკიცდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს 2022 წლის 13 ივლისს N0122194146 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო არ არის აღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის

დამტკიცების წინააღმდეგი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცება დასაშვებია.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 75-ემუხლის „ე.ბ" ქვეპუნქტისა და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის №14-39 დადგენილებით დამტკიცებული წესების მე-9 მუხლის მე-6 პუნქტის, ასევე, N01221403965-67 (N01221813552-67; N01221893440-67) განცხადებაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ გადაწყვიტა:

1.მოწონებულ იქნას ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირი N1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.085) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისა და საგანმანათლებლო კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, ამ განკარგულების დანართის შესაბამისად.

2.წინამდებარე განკარგულების პირველი პუნქტით მოწონებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი დასამტკიცებლად გადაიგზავნოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში.

3. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე-მერი) ირაკლი სმალაძეს.

4. ამ განკარგულების გასაჩივრება, დაინტერესებული მხარის მიერ, შესაძლებელია მისთვის განკარგულების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი

კახა კალაძე

წერილის ნომერი: **0122194149**
თარიღი: **13/07/2022**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურმა, კომპეტენციის ფარგლებში, განიხილა მიმდინარე წლის 8 ივლისის №01221893440-67 განცხადება, რომელიც ეხება ქალაქ თბილისში, ვაშლიჯვარის დასახლებაში, მარშალ გელოვანის გამზირის №1-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.10.025.085; არსებული ფუნქციური ზონირება: სარეკრეაციო ზონა 2; საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2 და საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6); საპროექტო ფუნქციური ზონირება: სზ-6 და სპეციალური ზონა 1 (სპეცზ-1)) საგანმანათლებლო კომპლექსისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების საკითხს.

გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **78 ძირი (№10, №22, №24 №27-№28, №30-№37, №39-№46, №48-№49, №51, №53-№56, №58-№60, №63-№64, №67-№82, №84, №86-№87, №89, №93, №101-№102, №106-№107, №115, №123-132, №134-№136, №138-№139, №142, №161, №185-№186)** მწვანე ნარგავი განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას. ,,ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის (შემდგომში - კანონი) მე-7 მუხლის მე-5 პუნქტისა და ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის №11-58 დადგენილების (შემდგომში - დადგენილება) 29-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, კერძო საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე ხილ-კენკროვანი ნარგავების მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაინტერესებული პირი გეგმავს 15 და მეტი, 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის ჯანსაღი ხილ-კენკროვანი ნარგავის მოჭრას. გამომდინარე იქიდან, რომ ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები განეკუთვნება ხილ-კენკროვანთა სახეობას და 12 სმ-ზე მეტი დიამეტრის მქონე ნარგავების რაოდენობა არ აღემატება 15 ერთეულს, მათი მოჭრა/გადარგვა არ საჭიროებს უფლებამოსილი ორგანოს ნებართვას.

ასევე გაცნობებთ, რომ კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამშენებლოდ გამოსაყენებელი ტერიტორიის ზეხმელი/ხმობადი ხეებისაგან გამოთავისუფლების მიზნით, სამსახური თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე მოიჭრას **6 ძირი (ერთი ძირი ზეხმელი - №57; 5 ძირი ხმობადი - №62, №94-№96, №148)** მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთანავე, კანონის მე-6 მუხლის მე-6 პუნქტის „გ" ქვეპუნქტისა და დადგენილების 30-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ" ქვეპუნქტის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა მოიჭრას საპროექტო ტერიტორიაზე აღწერილი **6 ძირი ჯანსაღი** (№121, №143-

№145, №183-№184) მწვანე ნარგავი მშენებლობის ნებართვის გაცემის პროცესში, დეტალური პროექტირების დროს უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე.

ამასთან, საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, პროექტის განხორციელებისათვის ხელისშემშლელი მწვანე ნარგავების გადარგვის საკითხთან დაკავშირებით გაცნობებთ, გამომდინარე იქიდან, რომ წარმოდგენილ მწვანე ნარგავების ხარისხობრივი შეფასების შესახებ გაცემულ საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **47 ძირი** მწვანე ნარგავის (№9, №11-№17, №19, №38, №47, №50, №52, №61, №65-№66, №83, №85, №88, №90-№92, №97-№100, №103-№105, №109-№114, №116-№120, №133, №137, №140-№141, №146-№147, №187) დიამეტრი არ აღემატება 25 სანტიმეტრს და ექსპერტის მიერ დადასტურებულია მისი გადარგვის შესაძლებლობა, დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-4 მუხლის საფუძველზე, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავები, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, მასთან შეთანხმებული აგროტექნიკური ნორმების დაცვით მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ.

ამასთანავე, გაცნობებთ, რომ საპროექტო ტერიტორიაზე არსებული, საექსპერტო დასკვნაში აღწერილი **2 ძირი** (№18 D=26 სმ, №108 D=4-11-17-30 სმ) გადასარგავი მწვანე ნარგავის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს. დადგენილების მე-2 მუხლის 41-ე პუნქტის თანახმად, მწვანე ნარგავი, რომლის დიამეტრი აღემატება 25 სანტიმეტრს წარმოადგენს დიდტანიან ეგზემპლარს. ტექნიკური პირობების გათვალისწინებით, დიდტანიანი ხეების ბუნებრივი გარემოდან ამოღება/გადარგვა მოითხოვს ცალკეულ შემთხვევებზე დეტალური ინსტრუქციის მომზადებას მწვანე ნარგავების ფიზიკური მახასიათებლების, მდებარეობისა და სამუშაოს სირთულის მიხედვით. დადგენილების მე-3 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-5 მუხლის საფუძველზე და საექსპერტო დასკვნის გათვალისწინებით, სამსახური თანახმაა გადაირგოს ზემოაღნიშნული მწვანე ნარგავი მშენებლობის საბოლოო ნებართვის გაცემის შემდგომ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული ნებართვის საფუძველზე, რისთვისაც განმცხადებელმა უნდა წარადგინოს მასზე უფლებამოსილი პირის მიერ ინდივიდუალურად შედგენილი გადარგვის აგროტექნიკური მეთოდოლოგია და წერილობითი დასტური იმ პირისგან (ფიზიკური/იურიდიული), რომელსაც გააჩნია დიდტანიანი მწვანე ნარგავის გადარგვის შესაბამისი სპეციალური ტექნიკა და განახორციელებს გადარგვის სამუშაოს.

დამატებით გაცნობებთ, რომ განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტის ფარგლებში, გასამწვანებლად შემოთავაზებული ხე-მცენარეების რაოდენობა (**ნაკვეთი №1 – არსებული:** 8 ძირი კვიპაროზი, 12 ძირი ტუია, 5 ძირი თუთა, 3 ძირი კვიდო, **გადასარგავი:** 6 ძირი თუთა, 9 ძირი აილანთუსი, 16 ძირი კაკალი, 7 ძირი თხილი, **საპროექტოდ დასარგავი:** 12 ძირი ჭადარი დასავლეთის, 8 ძირი ძელქვა, 3 ძირი გინგკო ბილბოა, 13 ძირი ცხენისწაბლი ჩვეულებრივი, 5 ძირი კელრეუტერია, 5 ძირი მარადმწვანე მუხა, 4 ძირი ნაძვი მჩხვლეტავი ლეგა; **ნაკვეთი №2 - არსებული:** 4 ძირი კაკლის ხე და ერთი ძირი აილანთუსი, **გადასარგავი:** 7 ძირი ჩვეულებრივი ხურმა და 2 ძირი აკაცია, **საპროექტოდ დასარგავი:** 9 ძირი ამერიკული ცაცხვი, 13 ძირი ცხენისწაბლი ჩვეულებრივი, 6 ძირი კელრეუტერია, 8 ძირი ალბიცია, 8 ძირი იუდას ხე, 15 ძირი მარადმწვანე მუხა, 9 ძირი ირმის რქა, 3 ძირი ნაძვი მჩხვლეტავი ლეგა; **სულ: 201 ერთეული**) სრულად ითვისებს საპროექტო ტერიტორიისთვის გათვალისწინებულ კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობს **(ნაკვეთი №1: სზ-6 = 2 030 მ^2 და ნაკვეთი №2: სპეცზ-1 = 1 820 მ^2; სულ: 3 850 მ^2)**.

იმის გათვალისწინებით, რომ გასამწვანებლად შემოთავაზებული მწვანე ნარგავები გამოირჩევა მრავალფეროვნებით, (ხე-მცენარეების სახეობები შერჩეულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის №05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სიიდან) და ისინი ქ. თბილისის კლიმატისა და ლანდშაფტის შესაბამისია, სამსახური თანახმაა წარმოდგენილი სახით შეითანხმოს გამწვანების (დენდროლოგიური) პროექტი.

აქვე, გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე არსებული, გადასარგავად მოთხოვნილი 2 ძირი მწვანე ნარგავიც (№38 და №88), ისევე როგორც სხვა ხე-მცენარეები, უნდა გადაირგოს იმავე ტერიტორიაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, **სამსახური კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა 01.10.10.025.085 საკადასტრო ერთეულზე დამტკიცდეს საგანმანათლებლო კომპლექსისა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის განაშენიანების რეგულირების გეგმა.**

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **01220461309**
თარიღი: **15/02/2022**
პინი: **4326**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

2022 წლის 8 თებერვლის N 01220393249-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N1_ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.10.025.085) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა განიხილა აღნიშნული პროექტი, ტრანსპორტზე ზეგავლენის შეფასების კვლევა და წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

სამსახურმა დამატებით განხილა წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტიც. აღნიშნულთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა დადებითი პოზიცია დააფიქსირა 2019 წლის 16 თებერვლის N 01190471-67 განცხადების პასუხად N 0119078656 წერილით. ვინაიდან, მიმდინარე განცხადებით წარმოდგენილი საპროექტო ტერიტორია წარმოადგენს ზემოხსენებული განაშენიანების რეგულირების გეგმით შეთანხმებული პროექტის გაგრძელებას (ნაწილს), შესაბამისად განხილვა და საპროგნოზო ზეგავლენის შეფასება მოხდა ერთიანი მოცულობის გაანალიზების საფუძველზე.

საპროექტო ტერიტორიის სამხრეთით, განაშენიანების რეგულირების გეგმის შეთანხმების ეტაპზე, წარმოდგენილია სატრანსპორტო მოდელირება, რომელიც ითვალისწინებს N 16-01182412675 წერილით მითითებულ საკითხებს. კერძოდ, გათვალისწინებულია საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ საავტომობილო გზებზე ავტობუსის სეგრეგირებული ხაზები, კარგად შეკავშირებული საფეხმავლო ქსელი, საქვეითე გადასასვლელები ქუჩის დონეზე, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დამატებითი გაჩერებები, განახლებული მოძრაობის ორგანიზების სქემა. მოდელირებამ აჩვენა, რომ რეკომენდირებული ღონისძიებები გააუმჯობესებს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ხარისხს საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ.

ამავე დროს, ახალი საავტობუსე ქსელის მიმდინარე კვლევის ფარგლებში მიმდებარე ტერიტორია (მარშალ გელოვანის გამზირი) მოიაზრება, როგორც ტრანზიტული საჯარო ტრანსპორტის დერეფანი (კარგად შეკავშირებული, ხშირი და მაღალი მოცულობის ქსელი). მიმდებარე ქუჩებზე განახლდება და გაუმჯობესდება მეორეული საქალაქო და მესამეული საუბნო შემკრები საზ. ტრანსპორტის ქსელი. აღნიშნული მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების დონეს, გაჩნდება დამატებითი საავტობუსე რეზერვები და მომავალში შესაძლებელს გახდის მოდალურ განაწილებაში საზოგადოებრივი ტრანსპორტის მოხმარების წილის გაზრდას.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, დაგეგმილი პროექტი, დამატებული გენერირებული მგზავრობების გათვალისწინებით, არ ითვალისწინებს

არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, რაც არსებით უარყოფით ზეგავლენას მოახდენს სატრანსპორტო ინფრასტრუქტურაზე.

დამატებით გაცნობებთ, რომ განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების ეტაპზე განმცხადებელმა შესათანხმებლად უნდა წარმოადგინოს საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემა, რომლის შიდა გეგმარებაში (არსებობის შემთხვევაში) და საკადასტრო საზღვრის მიმდებარედ გათვალისწინებული ტროტუარების სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 2.5 მეტრს. სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ საკადასტრო საზღვრის პერიმეტრზე ან/და შიდა გეგმარებაში სამანქანო გზის მოწყობის შემთხვევაში გასათვალისწინებელი ტროტუარებისგან დამოუკიდებლად ორმხრივი გზა შეადგენდეს არანაკლებ 6 მეტრს. აღნიშნული გადამოწმდება და დაზუსტდება სქემის შეთანხმების ეტაპზე.

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების წინააღმდეგი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **0122194146**
თარიღი: **13/07/2022**

2022 წლის 8 ივლისის N 01221893440-67 განცხადების პასუხად, რომელიც შეეხება ქალაქ თბილისში, დასახლება ვაშლიჯვარი, მარშალ გელოვანის გამზირი N1_ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 01.10.10.025.085) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცებას, გაცნობებთ:

სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა შეისწავლა წარმოდგენილი პროექტი და სატრანსპორტო დოკუმენტაცია.

წარმოდგენილია შეთანხმებული საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემები შესაბამის თანხმობის წერილებთან ერთად.

აღნიშნულ პროექტთან დაკავშირებით, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურმა პოზიცია დააფიქსირა განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების დამტკიცების ეტაპზე 2022 წლის 8 თებერვლის N 01220393249-67 განცხადების პასუხად N 01220461309 წერილით.

ვინაიდან, პროექტი და სატრანსპორტო კვლევა არ ითვალისწინებს არსებით ცვლილებებს და არ იკვეთება ახალი საგულისხმო გარემოებები, სამსახურის პოზიცია რჩება უცვლელი.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სსიპ - ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური არ არის წარმოდგენილი განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების წინააღმდეგი.

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/ელექტრონული შტამპი

გარეშენიანების რეგულირების გეგმა

საპროექტო ტერიტორიის ფოტოსურათები

თარიღი	23/06/2022	მასშტაბი	–
ფორმატი	A - 1	ფურცელი	8

პირობითი აღნიშვნები		
03	ფოტოს ნუმერაცია	

01



02

03

04

05

06

LANDMARKE PROJECT	შემსრულებელი	თანამდებობა	გვარი,სახელი	ხელმოწერა	დამკვეთი	პროექტის დასახელება	ობიექტის მისამართი
	შპს "ლენდმარკ პროჯექტი" საქართველო ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას II აფარბალი 11ბ. ტელ: 2 22 00 88	დირექტორი	ხ. პიპია		შპს "ეამკვადრატის პარკი" საიდ. კოდი: 405116716 საქართველო ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N-1	ეამკვადრატის პარკი	საქართველო ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N-1 ს.კ. 01.10.10.025.085
		მთავარი არქიტექტორი	ბ.პიალიშვილი				
		არქიტექტორი	მ. ლომიძე				
		არქიტექტორი	ნ.ადვაძე				

განაშენიანების რეგულირების გეგმა

სამშენებლო და სამშენებლოდ შეზღუდული ტერიტორიების ზონირება

თარიღი	23/06/2022	მასშტაბი	1:500
ფორმატი	A - 1	ფურცელი	11

პირობითი აღნიშვნები

- საპოზიციო ბადე
- სამშენებლო ტერიტორია
- საგრეხეკილ მიწის ნაკვეთის საზღვარი და ნომერაცია
- სამშენებლოდ შეზღუდული ტერიტორია
- საგრეხეკილ ტერიტორია
- სერვიტუტები

შენიშვნა:
სამშენებლოდ შეზღუდულ ტერიტორიაზე შესაძლებელია განთავსდეს მცირე ზომის კომუნალური, საინჟინრო-ტექნიკური ან დამხმარე ნაგებობა



საკადასტრო კოდი	ნაკვეთის ფართობი მ²	არსებული ფუნქციური ზონა	საგრეხეკილ N	საგრეხეკილ ფუნქციური ზონა	ნაკვეთის/ ზონის ფართობი	სამშენებლო / სამშენებლოდ შეზღუდული ტერიტორია	საგრეხეკილ კოეფიციენტები: ა-1 - ის საანგარიშო ფართობი / მ²	კ-1	ა-2 - ის საანგარიშო ფართობი / მ²	კ-2	ა-3 - ის საანგარიშო ფართობი / მ²	კ-3	სერვიტუტ-გებმარებითი ნაწილის სახეობა	რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი
01.10.10.025.085	15023	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)	1	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)	5923	სამშენებლო / სამშენებლოდ შეზღუდული	2000	0.3	14807	2.5	2030	0.3	შერეული	დასაშვებია რამდენიმე შენობის განთავსება
		საზოგადოებრივი საქმიანი ზონა 2 (საზ-2)	2	საქმიანი ზონა 1 (საქზ-1)	9100	სამშენებლო	4800	_	13600	_	1820	0.2		
		სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2)					6800	0.5	28407	1.9	3850	0.3		

კოეფიციენტების ჯამური მაჩვენებლები მთლიანი საგრეხეკილ ტერიტორიისთვის

	შემსრულებელი	თანამდებობა	გვარი,სახელი	ხელმოწერა	დამკვეთი	პროექტის დასახელება	ობიექტის მისამართი
LANDMARKE PROJECT	შპს "ლენდმარკ პროჯექტი" საქართველო ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას II ჯვარბალი 11ბ. ტელ: 2 22 00 88	დირექტორი მთავარი არქიტექტორი არქიტექტორი არქიტექტორი	ხ. პიპვაძე ბ.პიპალიშვილი მ. ლომიძე ნ.ალფვაძე		შპს "ეკომეადრატის ჰარეი" საიდ. კოდი: 405116716 საქართველო ქ.თბილისი, მარჯანიშვილის გამზირი N-1	ეკომეადრატის ჰარეი	საქართველო ქ.თბილისი, მარჯანიშვილის გამზირი N-1 ს.კ. 01.10.10.025.085

განაშენიანების რეგულირების გეგმა

გეგმარების შემზღუდავი ზონირების რუკა

თარიღი	23/06/2022	მასშტაბი	1:1000
ფორმატი	A - 1	ფურცელი	12

პირობითი აღნიშვნები

საკოორდინატო ბადე		გარე ვაჭრობის შეზღუდვის არეალი	
საკოლაქიო ტერიტორია		6 კვ.მდე ნაგებობების განთავსების შეზღუდვა (ძირითადი აარეალვა)	
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი		6-10 კვ. მიწისქვეშა კაბელი	
მდინარეთა წყალდაცვითი ზონები		სერვიტუტი	

საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვარი და ნომერაცია	



შემსრულებელი	თანამდებობა	გვარი,სახელი	ხელმოწერა
შპს "ლენდმარკ პროჯექტი"	დირექტორი	ხ. აბესაძე	
საქართველო ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, პაჭა ფშაველას II ჯიხრბალი 11ბ. ტელ: 2 22 00 88	მთავარი არქიტექტორი	ბ.ბიბალიშვილი	
	არქიტექტორი	მ. ლომაიძე	
	არქიტექტორი	ნ.ალდაძე	

დამკვეთი	პროექტის დასახელება	ობიექტის მისამართი
შპს "ემკვადრატის პარკი" სიდ. კოდი: 405116716 საქართველო ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N-1	ემკვადრატის პარკი	საქართველო ქ.თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N-1 ს.კ. 01.10.10.025.085

განაშენიანების რეგულირების გეგმა

მიწის ნაკვეთების განაწილების გეგმა

თარიღი	23/06/2022	მასშტაბი	1:500
ფორმატი	A - 1	ფურცელი	13

პირობითი აღნიშვნები

- საპროექტო ბადე
- 1 — საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვარი და ნომერაცია
- საპროექტო ტერიტორია
- სერვიტუტები

საპროექტო ნაკვეთის მარღვანების ნარჩენებს შორის მონაკვეთების ზომა



საკადასტრო კოდი	ნაკვეთის ფართობი მ²	არსებული ფუნქციური ზონა	საპროექტო N	საპროექტო ფუნქციური ზონა	ნაკვეთის/ზონის ფართობი	საპროექტო პოლიგონები: კ-1 - ის საანგარიშო ფართობი / მ²	კ-1	კ-2 - ის საანგარიშო ფართობი / მ²	კ-2	კ-3 - ის საანგარიშო ფართობი / მ²	კ-3	სავალდებულო გეგმარებითი ნაწილის სახეობა	რამდენიმე შენობის განთავსების რეჟიმი
01.10.10.025.085	15023	საცხოვრებელი ზონა 6 (საზ-6)	1	საცხოვრებელი ზონა 6 (საზ-6)	5923	2000	0.3	14807	2.5	2030	0.3	მარეგული	დასაშვებია რამდენიმე შენობის განთავსება
		საზოგადოებრივ საქმიანი ზონა 2 (საზ-2)	2	სპეციალური ზონა 1 (სპეზ-1)	9100	4800	–	13600	–	1820	0.2		
		სარეკreაციო ზონა 2 (რზ-2)											
		პოლიგონების ჯამური მაჩვენებლები მთლიანი საპროექტო ტერიტორიისთვის				6800	0.5	28407	1.9	3850	0.3		

შემსრულებელი	თანამდებობა	გვარი,სახელი	ხელმოწერა
LANDMARKE PROJECT შპს "ლენდმარკ პროჯექტი" საქართველო ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, ვაჟა ფშაველას II აკვარტალი 11ბ. ტელ: 2 22 00 88	დირექტორი	ხ. პიპია	
	მთავარი არქიტექტორი	ბ.პიპალიშვილი	
	არქიტექტორი	მ. ლომიძე	
	არქიტექტორი	ნ.ალფაძე	

დამკვეთი	პროექტის დასახელება	ობიექტის მისამართი
შპს "ეკომედრატის პარკი" საიდ. კოდი: 405116716 საქართველო ქ.თბილისი, მარჯალ გელოვანის გამზირი N-1	ეკომედრატის პარკი	საქართველო ქ.თბილისი, მარჯალ გელოვანის გამზირი N-1 ს.კ. 01.10.10.025.085

განაშენიანების რეგულირების გეგმა

არსებული კონკრეტული ფუნქციური ზონირების რუკა

თარიღი	23/06/2022	მასშტაბი	1:1000
ფორმატი	A - 1	ფურცელი	14

პირობითი აღნიშვნები

საპროექტო ტერიტორია			
მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი			
საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვარი და ნომერაცია			
ფუნქციური ზონები			

განაშენიანების რეგულირების გეგმა

განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტით დადგენილი ფუნქციური ზონირების და მაგრეგულირებელი სახელობების გეგმა; მიწის ნაკვეთების 3-1, 3-2, 3-3 პოლიციონირების დადგენის გეგმა;

თარიღი	23/06/2022	მასშტაბი	1:500
ფორმატი	A - 1	ფურცელი	15

პერსონალური ფუნქციები

საკოორდინატო ბადე	სარეკრეაციო ზონა-2 (რზ-2)	საზოგადოებრივი საქმიანი ზონა-2 (სსზ-2)	
საპროექტო ტერიტორია	საცხოვრებელი ზონა- (სზ)	საზოგადოებრივი საქმიანი ზონა-3 (სსზ-3)	
სერვიტუტი	საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6)	საბრანსპორტო ზონა-1 (ტზ-1)	
საპროექტო მიწის ნაკვეთის საზღვარი და ნომერაცია	სპეციალური ზონა-1 (სპეზზ-1)	ჰიდროლოგია	

1	2
3	4
5	6

1- ზონის სახელობა
2- მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა
3- განაშენიანების პოლიფიციები 3I
4- განაშენიანების ინტენსივობის პოლიფიციები 3Z
5- გამწვანების პოლიფიციები 3Ì
6- სახლრეგის ტიპი



მიწის ნაკვეთის დადგენილი სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების ცხრილი

მიწის ნაკვეთის ნომერი	2
მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	9100
დაგეგმილი მიზნობრივი დანიშნულება	არსებულ-საფერმე
ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონა/ქვეზონა	მუდმივი ზონა (მზ);
კონკრეტული ფუნქციური ზონა	სპეციალური ზონა 1 (სპეზზ-1)
სამშენებლო გამოყენების სტატუსი	სამშენებლო
გამოყენების ნებადართული სახეობა და მასთან მომავალი ფუნქციები	ძირითადი სახეობები: სოლოლა, სასაფეხო ბაღი. ფუნქციები: საბანმანათლებელო, საოლიმპიადო აუზზონის, სარეკრეაციო, საორგანიზ-მაფიუზმსილებელი, სანიტარო-ტექნიკური
მიწის ნაკვეთის პოლიფიციები	კ3=0.2 (1820 კვ.მ)
მშენოლა-ნაგებობის მაქსიმალური სიმაღლე/სართულიანობა	22.75 მ.
ავტოსადგომების აუცილებელი (მინიმალური) რაოდენობა	10
მშენოლა-ნაგებობის განთავსების წესი	ნყლების სახეობა - მერეული, რეგულირების ხაზი - ნითელი, განაშენიანების სავალდებულო ლერწი ხაზის დაცვით არ სდება, მიწის ნაკვეთზე დასაშვებია რამდენიმე შენობის განთავსება.
მიწის ნაკვეთის დაყოფა, გაერთიანების რეჟიმი	დაყოფა გაერთიანება არ არის დასაშვები

მიწის ნაკვეთის დადგენილი სივრცით-ტერიტორიული განვითარების რეგლამენტების ცხრილი

მიწის ნაკვეთის ნომერი	1
მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ)	5923
